ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 71/გ

ქ. მცხეთა 27 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ ნინო რევაზიშვილი შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით საშობაო ნაძვის ხის კონსტრუქციის შესყიდვა. (CPV39298910)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს: ნაძვის ხის კონსტრუქციის მონტაჟი 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო დემონტაჟი 2016 წლის 20 იანვრამდე.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 1270 (ერთიათას ორასსამოცდაათი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 არგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემდეგ 10 დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაუფლოვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

საყურადღებო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქარაოყლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, სანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირაკლი შიოლაშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 05 თებერვლის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ ნინო რევაზიშვილი
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.136	მის: ქ. მცხეთა, მტკვრის ქ. 11
სახელმწიფო ხაზინა 204931440	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ხაზინის კოდი: TRESGE22	მცხეთის ფილიალი
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ბანკის კოდი: LBRTGE22
ს/კ 236098833	ა/ნ GE34LB0112 1609 0283 8000
ელ-ფოსტა: mtskhetacityhall@gmail.com	ს/კ 31001000315
ტელ: 251 21 70	ტელ: 595 155 967
	ინდ. მეწარმე
ა. ნემსიწვერიძე	ნ. რევაზიშვილი

27.11.2015 წ.

ქ. მცხეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. (ი.მ ნინო რევაზიშვილი ს/კ 31001000315)

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ა. ნიმსაწვერიძე

ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა
სამსახურის უფროსი

ი. შიოლაშვილი